



ATIPfund
GEORGIA

საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. № 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel./Fax: (+995 32) 2 395 350

www.atipfund.gov.ge

**ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების
სახელმწიფო ფონდი**

State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking



KA030869794837514

№ 07-167/ო

12 / ნოემბერი / 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბალანსზე რიცხული, სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრის“ სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონების სსიპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუმასტურის საჯარო სკოლისათვის გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის №302 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-4 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, ქალაქ ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2014 წლის 5 ნოემბრის №MES61400875705 წერილის, სსიპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუმასტურის საჯარო სკოლის 2014 წლის 7 ნოემბრის №MES31400881822 წერილისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის 2 ოქტომბრის №01/80434 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბალანსზე რიცხული, სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)

მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრის“ სარგებლობაში არსებული ამ ბრძანების დანართ №1-ში მითითებული მოძრავი ქონება სარგებლობაში გადაეცეს სსიპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუმასტურის საჯარო სკოლას.

2. ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში სსიპ – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრის“ უფროსმა **ია ფირაშვილმა** უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების სსიპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუმასტურის საჯარო სკოლისათვის სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტზე სსიპ – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალის) „ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრის“ უფროსს **ია ფირაშვილს**.

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის მოადგილეს **ბელა გოგუას**.

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დირექტორი



მარინა მესხი